ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ქალაქად, სოფლად, სახელოვნად შევხვდეთ დიად თარიღებს!

50

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 211 (13595)

პარასკევი, 16 სექტემბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ახალი ტექნოლოგია, ახალი ვალდებულებები

სამი ათასამდე კაცი მუშაობს თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში. ეს ის სწარმოა, რომელიც ადრე ხარალით იგგგმებოდა. იყო დრო, როცა ხარალმა 626 ათას მანეთს მიაღწია. საჭირო იყო მუშაობის ძირეულად გარდაქმნა, და კიდეც გარდაქმნეს. რაც ხანი გადიოდა, იცვლებოდა და უმჯობესდებოდა მუშაობის ტექნოლოგია, იცვლებოდა წარმოების მოძველებული წესი. შედეგმა არ დააყოვნა. წამგებიანი საწარმო მომგებიანი გახდა. ეს 6-7 წელია მოგება ყოველწლიურად მატულობს და უკვე ზარშან 904 ათას მანეთს მიაღწია, წელს შვიდ თვეში 603 ათასი მანეთი იყო შეტანილი მოგების ფონდში. წლის ბოლოსთვის 1.086.000 მანეთია დაგეგმილი, ვარაუდობენ კი ეს ციფრი 1.200.000 მანეთამდე ავიწიოს.

ეს ფაბრიკა ერთ-ერთი ადგილია, სადაც ინტენსიურად ეცდებიან ადამიანური ურთიერთობის ახალ ეტაპზე ასვლას. ეს ეტაპი ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე,

ბედნიერი თაობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სახკომსაბჭოს დეკრეტის მიღების 45 წლისთავის გამო

საბჭოს გულთბილი ზრუნვა

ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის საფარ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი მოზარდებისა და ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. დეკრეტს ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა.

როგორ ბორკილდება ლენინის ანდერძი? საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ პედიატრს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნ. ი. ნისევიჩს განემარტა ეს ციფრებითა და ფაქტებით.

— უნდა გავიხსენოთ, რომ ბავშვებისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო საბჭოთა ხელისუფლების უურადღების ცენტრში, — თქვა პროფესორმა ნისევიჩმა — მუშურ-გლეხური მთავრობის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი იყო დეკრეტი ბავშვთა შრომის გამოყენების აკრძალვის შესახებ. ბავშვთა კვების გაუჯობესების შესახებ. 1917 წლის დეკემბერში სახელმწიფო მზრუნველობის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა კომისია, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა განეხორციელებინა დედებისა და ჩვილთა დაცვის ღონისძიებანი. 1918 წლის იანვარში ხელი მოაწერეს დეკრეტს ბავშვთა სიკვდილიანობასთან ბრძოლის შესახებ.

მეფის მთავრობისაგან დატოვებული მემკვიდრეობა უაღრესად მძიმე იყო. ბავშვთა სიკვდილიანობა 1913 წელს რუსეთში შეადგენდა 273-ს 1.000 ახალშობილზე, რაც 3-4-ჯერ აღემატებოდა ბავშვთა სიკვდილიანობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. უძნელეს პირობებში უხდებოდათ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხელახლა შექმნა. ახალგაზრდა რესპუბლიკამ ამოცანად დაისახა შეენარჩუნებინა ბავშვისათვის დედა, დედისათვის კი ბავშვი. იხსნებოდა სბავშვო ბაღები და ბაღები, ბაბავშვო სახლები, სწრაფად ფართოვდებოდა სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი.

უკვე 1922 წლიდან მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში მუშაობა დაიწყეს დედისა და ბავშვის დაცვის ინსტიტუტებმა, რომლებიც ბავშვთა დაავადებებთან და სიკვდილიანობასთან ბრძოლის ხელმეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდიური ცენტრები გახდა.

ნორჩი თაობის ჯანმრთელობის დაცვა ჩვენს ქვეყანაში თავიდანვე პედიატრიის დარგის მეცნიერული კვლევის მიღწევებს ემყარებოდა. და ეს უდიდესი მიღწევაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბავშვთა სიკვდილიანობა რვანახევარჯერ შემცირდა.

ახლა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 70 ათასზე მეტი ექიმი-პედიატრი, აგრეთვე ფერშლების, მეანეებისა და მედიცინის დების დიდი არმია. აქტიურად მუშაობს თოთხმეტი პედიატრიის სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და დედიანა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტი.

ამჟამად ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში ძირითადი პრინციპია პროფილაქტიკური მიმართულება. საბჭოთა მეცნიერების მიერ შემუშავებულმა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემამ, რომელშიც აქტიური იმუნიზაციაც შედის, ხელი შეუწყო ინფექციურ დაავადებათა მნიშვნელოვან შემცირებას, თანაც შესაძლებელი გახდა ზოგიერთი მათგანის სრული ლიკვიდაცია.

რვა მილიონამდე ბავშვი იზრდება საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ჩვენ გვაქვს 19 ათასი კონსულტაცია. 340 ათასზე მეტი საბავშვო ადგილი საავადმყოფოებში, 120 ათასზე მეტი ადგილი საბავშვო სანატორიუმებში. სახელმწიფო დახმარება ფეხმძიმე ქალებისადმი, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, „გმირი დედის“ საპატიო წოდების შემოღება, სკოლა-ინტერნატების შექმნა და ბევრი სხვა რამ — სწორედ ეს არის ლენინის ანდერძის კონკრეტული შესრულება, ნამდვილი ლენინური ზრუნვა ახალგაზრდა თაობისათვის.

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა კოსმონავტები სირიაში

დამასკო, 14 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იუსეფ ზუაინმა და თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ჰაფეზ ასადმა მიიღეს საბჭოთა კოსმონავტი მეჩრინავეები პავლე გელიაევი და ალექსი ლეონოვი, რომლებიც ვიზიტად არიან სირიაში. თავდაცვის მინისტრმა მათ აცნობა, რომ სირიის მთავრობამ გადაწყვიტა საბჭოთა კოსმონავტები დაჯილდოვოს პირველი ხარისხის „წარჩინების“ ორდენით გმირობისათვის, რაც მათ ჩაიღიენეს.

მუშაკების მდგომარეობა უარესდება

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის უდიდესმა საავტომობილო კომპანიამ „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშენმა“ გამოაცხადა, რომ 30 ათასი მუშა გადაყავს არასრულ სამუშაო კვირაზე. ამ კომპანიის 20 საწარმოში დასაქმებულია დაახლოებით 112 ათასი მუშა. კომპანიის დირექციის განცხადებაში ნათქვამია, რომ მეტი წილი საწარმოები „მომდევნო კვირაში გადაყვანილ იქნება სამ ან ოთხდღიან კვირაზე“. ამასთან ხელფასი შესაბამისად მცირდება. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „საბოლოო ანგარიშით სამუშაო კვირის შემცირება შეეხება გაცილებით მეტ მუშას“, რაც თითქოს „საჭიროა იყოს ახლანდელი ეკონომიური სიტუაციის გამო“.

კატრიოტთა წარმატებანი

ჰანოი, 14 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა 1965 წლის ივლისიდან 1966 წლის ივლისამდე ცენტრალური ვიეტნამის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 126 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 50 ათასი ამერიკელი და 10 ათასი სამხრეთკორეელი სამხედრო მოსამსახურე. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწოდებს სააგენტო „განთავისუფლებას“ და იუწყება, რომ ამ პერიოდში განადგურებულია 24 ბატალიონი, მათ შორის 8 ამერიკული ბატალიონი, მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ჯარების სამი კოლონა და 163 ასეული. ბრძოლების დროს პატრიოტებმა ჩამოაგდეს ბევრი თვითმფრინავი, მოსპეს 1.400 ავტომანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, გარდა ამისა, დაწვეს 25 მილიონი ლიტრი საერთო ტევადობის ბენზინსაცავი.

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დღეს საიგონის მიდამოებში ააფეთქეს ამერიკული სამხედრო სატვირთო მანქანა.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იტყობინება, აფეთქების შედეგად დაიჭრა სამი ამერიკელი ჯარისკაცი.

ულბრიხტი ბულგარეთში

ბუქარესტი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის უდიდესმა საავტომობილო კომპანიამ „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშენმა“ გამოაცხადა, რომ 30 ათასი მუშა გადაყავს არასრულ სამუშაო კვირაზე. ამ კომპანიის 20 საწარმოში დასაქმებულია დაახლოებით 112 ათასი მუშა. კომპანიის დირექციის განცხადებაში ნათქვამია, რომ მეტი წილი საწარმოები „მომდევნო კვირაში გადაყვანილ იქნება სამ ან ოთხდღიან კვირაზე“. ამასთან ხელფასი შესაბამისად მცირდება. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „საბოლოო ანგარიშით სამუშაო კვირის შემცირება შეეხება გაცილებით მეტ მუშას“, რაც თითქოს „საჭიროა იყოს ახლანდელი ეკონომიური სიტუაციის გამო“.

დასრულებული კანონპროექტი

ვაშინგტონი, 15 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კოპეტინი გვატყობინებს:

შეერთებული შტატების სენატმა გუშინ პრაქტიკულად დასამარა კანონპროექტი ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ, მასთან ერთად კი ამერიკის შავკანიან მოქალაქეთა იმედი, რომ უფლება ექნებათ იცხოვრონ იმ რაიონებში, სადაც მათი თეთრკანიანი თანამოქალაქენი ცხოვრობენ.

როგორც ცნობილია, კანონპროექტი ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების შესახებ, რომელსაც სენატი იხილავს, ითვალისწინებს დღევანდელ ამერიკაში რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი ფორმის ლიკვიდაციას, რაც გამოიხატება იმით, რომ ზანგთა ოჯახებს უფლება არა აქვთ იყიდონ ან იქირაონ აიღონ ბინა ეგრეთ წოდებულ „თეთრკანიანთა“ რაიონებში. მაგრამ სამხრეთ შტატების სენატორებმა გადაწყვიტეს რადაც უნდა დაუჯდეთ არ შეუშვან ზანგები ამ რაიონებში. ჯერ სენატორები არა და არ გამოჩნდნენ სხდომათა დარბაზში და, ვინაიდან შეთანხმებულობა ვერ იკრიბებოდა, კანონპროექტის განხილვა ყოველდღე იდებოდა. ბოლოს, როცა როგორც იქნა ხელში ჩაიგდეს 51-ე სენატორი, რომელიც საჭირო უმრავლესობის უზრუნველყოფდა, სამხრეთელებმა მიმართეს ძველ ნაცად ხერხს — ფლიბუსტიერობას.

სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა მენსფილდმა იმედი დაკარგა, რომ საქმეს ხელს წაუწევდა და შეიტანა წინადადება ფლიბუსტიერობის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ამ წინადადების განხილვიელებას სენატორთა ხმების ორი მესამედი სჭირდებოდა.

გუშინ, როგორც იქნა წინადადებას კენჭი უყარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, სენატმა უარყო წინადადება ფლიბუსტიერობის შეწყვეტის შესახებ. სამხრეთელ სენატორებს გზა ხსნილი აქვთ, რომ დიდი ხნით გადადონ კანონპროექტის კენჭისყრა.

სენატის უარმა შეწყვეტოს ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების კანონპროექტის ობსტრუქცია, დაადასტურა წინათ გამოთქმული ვარაუდი, რომ კონგრესის მიმდინარე სესიაზე ამ კანონპროექტს არ მიიღებენ. ამერიკის მრავალმილიონანმა ზანგმა მოსახლეობამ დაკარგა იმედი, რომ მონობის გაუქმების ასი წლის შემდეგ უფლება ექნებათ თეთრკანიანების გვერდით იცხოვრონ.

მოზამბიკელი პარტიზანები უტევენ

ალჟირი, 14 სექტემბერი (საკდესი). „მოზამბიკის ეროვნულ - განმათავისუფლებელი არმიის რიგხელი ბრძოლის ორი წლის მანძილზე 300 მებრძოლიდან 7 ათას მებრძოლამდე გაიზარდა“, — განაცხადა გაზეთ „ელ-მუჯაჰიდისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მოზამბიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრმა დოს სანტოსმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა, თუ როგორ ებრძვის მოზამბიკის განთავისუფლებისათვის.

„ჩვენმა პარტიზანებმა, — ანონიმნა დოს სანტოსმა, — 1964 წლიდან მოსპეს 3 ათასზე მეტი პორტუგალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი. კაბოს, დელგადოსა და ნიასის პროვინციები, რომელთა ფართობი 5 ათასი კვადრატული კილომეტრია და რომელთა მოსახლეობა 800 ათასი კაცია, მთლიანად განთავისუფლებულია პორტუგალიელი კოლონიზატორებისაგან და ექვემდებარება მოზამბიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტის ადმინისტრაციულ კონტროლს“.

შეეხო რა განთავისუფლებულ რაიონებში მოზამბიკის განთავისუფლების ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლის ფრონტის საქმიანობას, დოს სანტოსმა ხაზი უკუნა, რომ ეს საქმიანობა უშინაარეს ყოფილა მიზნად ისახავს „კოლონიური სისტემის სისტემატურ ლიკვიდაციას, მოზამბიკელთა ხელისუფლების ორგანოების შექმნას, აგრეთვე სოციალური და ეკონომიური ცხოვრების აქტივიზაციას“.

„ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ განვამტკიცოთ თავდაცვისუნარიანობა, დავიცვათ მშვიდობა, რომელიც ბარბაროსულად დაარღვიეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა ვიეტნამში“, — განაცხადა ეროვნული თავდაცვის მინისტრმა, პოლონეთის მარშალმა მარიან სპიხალსკიმ ზეიმზე, რომელიც ზეგეის კავშირგამბმულობის სამხედრო სასწავლებელში გაიმართა კურსანტებისათვის ოფიცერთა წოდებების მინიჭების გამო. — ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა დავეხმაროთ ვიეტნამელ ხალხს. ჩვენ ვეხმარებოდით და კვლავაც დავეხმარებით მას“. ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, თქვა შემდეგ მინისტრმა, საფრთხეს უქმნის დასავლეთგერმანელ რევანშისტთა და იმპერიალისტთა ბონის მთავრობის ავანტიურისტული ხრიკები, მათი ჯიუტი მხარფეჩა ხელი იგდონ ატომური იარაღი, თავხედურად ხელყონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი, პოლონეთის უძველესი ოდერისა და ნოისეს ხაზღვრები, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ნაწილი.

„ახეთ პირობებში, — ხაზი გაუსვა მ. სპიხალსკიმ, — ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძალიერების განმტკიცება ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. ჩვენი უშიშროებისა და მომავ სოციალისტური ხალხების უშიშროების გარანტიაა ვარშავის ხელშეკრულების ძლავრი შეიარაღებული ძალები“.

□ **კუბა** ემზადება საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს კუბის ყველაზე მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციის — რევოლუციის დაცვის კომიტეტების მე-6 წლისთავი. ეს კომიტეტები შეიქმნა ხალხის მონაპოვრის დასაცავად 1960 წლის შემოდგომის მაცცარ დღეებში, როცა საკრო იყო გადამწყვეტი ღონისძიებების განხორციელება საბოტაჟისა და კონტრრევოლუციის ძირგამომთხრელი საქმიანობის ჩასახშობად. რევოლუციის დაცვის კომიტეტები, რომლებმაც თავიანთ რიგებში ორ მილიონზე მეტი კუბელი გააერთიანეს, უდიდეს როლს ასრულებენ კუბის მთელ ცხოვრებაში. ისინი ეხმარებიან კუბის კომუნისტურ პარტიასა და რევოლუციურ მთავრობას სოციალიზმის შენებლობის სულ სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტაში, აწყობენ მასობრივ კამპანიებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში, თვალყურს აღევნებენ სახალხო დოვლათის ხელშეუხებლობას, გადაჭრით აღკვეთენ იმპერიალისტური აგენტურის ხრიკებს.

მე-6 წლისთავის გამო გამართული ზეიმის ცენტრი, როგორც ყოველთვის, იქნება ჰავანის ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანი. 28 სექტემბერს მოედანზე გაიმართება მრავალთასიანი მიტინგი და დიდი საბავშვო ზეიმი.

□ **ალბანეთში** დამთავრდა სრულიად გერმანიის მუშათა 24-ე კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ორივე გერმანული სახელმწიფოსა და დასავლეთ ბერლინის ათასზე მეტი დელეგატი. სრულიად გერმანიის მუშათა ამ ფორუმის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში გულსადილად ისაუბრეს გერმანიის განვითარების გზების, გერმანული ერის მომავლის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა და მეტალურგთა პროფკავშირის თავმჯდომარემ რ. ზომერმა და დასავლეთგერმანელ მშრომელთა წარმომადგენელმა მოხსენებებში აღნიშნეს, რომ საჭიროა, რომ ორივე გერმანულმა სახელმწიფომ მიაღწიოს ურთიერთგაგებასა და დაახლოებას, საჭიროა მუშების, მათი პარტიებისა და პროფკავშირების ერთობლივი მოქმედება ევროპის მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, რევანშისა და ატომური შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ბონი ახორციელებს.

კონფერენციის მონაწილენი ტაშის გრიალით შეხვდნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმომადგენლის ზიონგ დინ თხაოს გამოსვლას, რომელმაც ილაპარაკა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის სამხრეთვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კანდიდატმა ჰორსტ ფინდერმანმა.

* * *

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება. შენდება მთელი რიგი დიდი საწარმოები. სურათზე: ნავთობქიმიური კომბინატის საერთო ხედი.

ფოტო ბტა-საკდესისა.



ახალი ცხოვრების გზაზე

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

□ **ბულგარეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით სოფიაში ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

□ **ხატინის** პროვინციის კუანის რაიონის მოსახლეობა ამერიკული ბომბებისა და რაკეტების ნამსხვრევებს აგროვებს სასოფელ-სამეურნეო იარაღების გამოსაყენებლად. ამ რაიონის პატრიოტებმა უკვე გამოუშვეს 16 ათასი სახნისი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამ პატრიოტულ თაოსნობას, რომელიც დაიწყო ლუზუნგით „გადავაქციოთ ამერიკელ აგრესორთა იარაღი საწარმოო ფრონტზე მათი დამარცხების იარაღად“, მხარი დაუჭირეს მთელი პროვინციის მშრომელებმა.

□ **ჩეხოსლოვაკიის** მანქანათმშენებლობის ცენტრში ქალაქ ბრნოში გაიხსნა მანქანათმშენებლობის ტრადიციული მე-8 საერთაშორისო ბაზრობა. პროდუქცია წარმოადგინა 37 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სხვა სახელმწიფოების 995 ფირმამ. ბაზრობა მიმდინარეობს ლოზუნგით „ტექნიკა მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ტექნიკურ პროგრესს ჩეხოსლოვაკიასა და მთელ მსოფლიოში.

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ბაზრობაზე ლითონდასამუშავებელი ჩარხები, საფეიქრო მანქანები, საანგარიშო-გამოსათვლელი ტექნიკა, სხვადასხვა აპარატურა, ავტომობილები.



საერთაშორისო ცხოვრება

უშედეგო „დაშოშმინება“

ვაშინგტონი, 15 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჯაშედჩენკო იუწყება:

გუშინ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა მოხსენება სამხრეთ ვიეტნამის „დასაშოშმინებლად“ ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მოამზადა პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ კომერმა. ხუთი თვის წინათ ჯონსონმა კომერს დაავალა ვაშინგტონიდან ეხელმძღვანელა და კოორდინაცია გაეწია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი არასამხედრო საქმიანობისათვის სამხრეთ ვიეტნამში.

ამ მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ სამხრეთვიეტნამელებმა (მას მხედველობაში ჰქონდა საიგონის რეჟიმი—კორესპონდენტის შენიშვნა) და მათმა ამერიკელმა მოკავშირეებმა ჯერჯერობით ვერ მოიგეს „მეორე ომი“ — ვერ მოინადირეს ხალხის გული, და სამხრეთ ვიეტნამში ვერ შექმნეს მყარი საზოგადოება და ეკონომიკა. ამასთანავე ჯონსონმა ამტკიცებდა ამ მიმართულებით მიღწეულია ძლიერ ფერადოვანი პროგრესი.

პრეზიდენტის შემდეგ გ. მოსულმა კომერმაც აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ მოიგეს „მეორე ომი“ სამხრეთ ვიეტნამში და რომ იქ კვლავინდებურად უამრავი პრობლემაა. მან კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამში უკანასკნელი 6-12 თვის მანძილზე მთავარი პრობლემა იყო ინფლაცია, რომელიც სულ უფრო ძლიერდება.

მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამირეკენ „თავიანთი შეცდენილობა გაისად ძირითადად იმის მოახმარონ, რომ დაეხმარონ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას ეკონომიკის სტაბილიზაციაში“.

წარმატებების ათი წელი

კაირო, 14 სექტემბერი. (საკდესი). 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტელმა ხალხმა დაამარცხა „იმპერიალისტთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მოეშალა ნაციონალ სუეცის არხი“, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უძღვნის სარედაქციო სტატიას კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“. 10 წლის წინათ სწორედ ამ დღეს — 1956 წლის 14 სექტემბერს — ცნობილი გახდა, რომ სუეცის არხის ყოფილ მფლობელთა მითითებით ყველა უცხოელმა ლოცმანმა და სხვა უცხოელმა მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს 15 სექტემბრიდან შეეწყვიტათ მუშაობა. ამ დიფერსიის ჩაფუშვასა და იმ სიძნელეთა გადალახვაში, რაც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთდროულად წავიდა ყველა უცხოელი ლოცმანი (ისინი კი უმრავლესობას შეადგენდნენ). დამოუკიდებელ ეგვიპტეს დაეხმარნენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები — სსრკ ჩეხეთი, იუგოსლავია, პოლონეთი, რუმინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი. კოლონიზატორთა ეარაუდი, რომ ეგვიპტის ხელისუფლები ვერ უზრუნველყოფდნენ სუეცის არხის ყოველდღიურ ნორმალურ მუშაობას, მთლიანად ჩაიფუშა. წლითიწლობით განუწყვეტლივ უძლიერდებოდა სუეცის არხში ნაოსნობისა და მოსასახურების პირობები, ხოლო არხში გამავალი გემების რიცხვი სულ უფრო იზრდება. არხის ექსპლოატაციისაგან შემოსავალმა შარშან 85.7 მილიონი ეგვიპტური გირვანქა შეადგინა. ეგვიპტის ადმინისტრაციამ, — აღნიშნავს „ალ-აჰრამი“, — დიდ წარმატებებს მიაღწია მუშაობაში. არხში გემების გავლის დრო 18 საათიდან 12 საათამდე შემცირდა. გავლის დროს ავარიათა რიცხვი შემცირდა. თუ წინათ ყოველ ხუთი ათას გემზე მოდიოდა 30 ავარია, ახლა მოდის ერთი; არხის გაფართოება და გაღრმავება ხელს უწყობს არხის გავლით საერთაშორისო საზღვაო ტვირთნაგადის რიცხვის გადიდებას. წარმატებთან ერთად გადაწყვეტილია ეგრეთვე ეროვნული კადრების მომზადების პრობლემა. თუ ნაციონალიზაციამდე არხში მუშაობდა 27 არაბი ლოცმანი, ახლა მუშაობს 180 — ხახს უსვამს გაზეთი.

გადადიან ბელგიაში

პარიზი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ნატოს საბჭომ, რომელიც დღეს შეიკრიბა პარიზში მეუღიე წარმომადგენლობა დონეზე, მოიწონა წინადადება, რომ ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი გადატანილ იქნეს შიეივრ-კასტოში (ბელგია), რომელიც 60 კილომეტრზე მდებარეობს ბრიუსელიდან. შტაბი, რომელიც პარიზის ახლოს ოროანკურში იყო, გადადის საფრანგეთის მოთხოვნით, რომელმაც განაცხადა, რომ გადის ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო ორგანიზაციიდან.

საბჭომ მოიწონა აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ რომში გადაიტანონ ნატოს სამხედრო კოლეჯი, რომელიც ამზადებს ოფიცრებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მეთაურთა პოსტებისათვის.

ესპანელი ბელადი

ბონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ პრესაში გამოაქვეყნა განცხადება იმ მოლაპარაკების შედეგების, რომელსაც ორ დღეს აწარმოებდნენ დელიში პაკისტანის არმიის მთავარსარდალი გენერალი იაჰიაჰანი და ინდოეთის არმიის შტაბის უფროსი გენერალი კუმარამანგალამი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება მოიწყო იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პერიოდულ შეხვედრებს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილველად.

ორივე მხარემ საჭიროდ ცნო განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყონ მშვიდობიანი პირობების დაცვას სასაზღვრო რაიონებში.

ეროვნული

... ...

გაცხადება

პარიზი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, მთავრობის ყოფილი მეთაური პიერ მენდეს-ფრანსი დღეს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში ორი კვირის მოგზაურობიდან. იგი მოგზაურობდა საზოგადოება „სხრ კავშირ-საფრანგეთის“ მიწვევით.

ჩვენი მოგზაურობა უაღრესად საინტერესო იყო, განუცხადა პ. მენდეს-ფრანსმა ჟურნალისტებს პარიზის ბურეულ აეროდრომზე ჩამოსვლისას. საინტერესო იყო როგორც მოგზაურობის თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური საუბრებს თვალსაზრისთვეც. უკანასკნელად საბჭოთა კავშირში ეს ვიყავ თუ შვიდი წლის წინათ ვიყავი და ახლა, ამრიგად, შემიძლია მოვახდინო შედარება. შემიძლია დავადასტურო, რომ არის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანი პროგრესი ეკონომიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის დარგებში. ყველგან ძალზე მეგობრულად გვხვდებოდნენ და მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ასეთი ზაუურადღებო და ასეთი საინტერესო მოგზაურობის შესაძლებლობა მომცა.

საფრანგეთის გადაწყვეტილება

პარიზი, 14 სექტემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან საფრანგეთი უკან გაიწევს თავის წარმომადგენელს ნატოს მეუღიე საბჭოს ხელმძღვანელობიდან, რომლის შტაბი ბინა ეიმეხგტონშია. ამერიკიდან საფრანგეთი ამ კომიტეტში წარმოდგენილ იქნება მხოლოდ „კავშირის ... სიით“, რომლის სტატუსის ... ...

ᲩᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ
ᲓᲦᲔ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲕᲔᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ—ᲑᲐᲚᲘ ᲒᲐᲠ!

ᲠᲝᲪᲐ ᲧᲣᲠᲡ ᲕᲣᲒᲓᲔᲑ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, რომ პოლონური პოეზია პოლონურ ენაზე (ადრინდელი პოლონელი პოეტები ლათინურ ენაზე წერდნენ) ნაგვიანევი რენესანსის ეპოქაში აყვავდა. პოლონურ ენაზე არსებობს, რასაკვირველია, პოეტურ ნაწარმოებთა უფრო ადრინდელი ჩანაწერებიც. პოლონური „ბოგოროდიცა“ პირველი სტროფები შეიძლება მივაკუთვნოთ XIII საუკუნეს, როცა უკვე საქართველოს ერთიანი ლიტერატურის შვიდასწლოვანი იუბილეა ჰქონდა. მაგრამ შუათლიური ენაზე მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლება ნიკოლაი რეი (1505-1569 წწ.), მხატვრული ლიტერატურის პოეტური და ლექსიკური ფორმების მამამთავრად კი დიდი ტალანტითა და გემოვნებით დაჯილდოებული იან კოხანოვსკი (1530-1584 წწ.). ალბათ ამიტომ XVI საუკუნეს ჩვენში ოქროს ხანას უწოდებენ. სწორედ მაშინ პოლონური ლიტერატურა პირველად შევიდა მსოფლიო ლიტერატურაში, და ამის დამამტკიცებელი საბუთი იყო კოხანოვსკის ლექსების თარგმანები, რომლებმაც ლიტერატურულ დასავლეთში დიდი სახელი მოიხვეჭა.

შემდგომ, პოლონური პოეზიის უოველი ახალი აღმავლობის პერიოდში პოლონელი პოეტები ყოველთვის რენესანსს მიმართავდნენ. ახე იყო XVIII საუკუნეში განმთავისუფლებელთა ეპოქაში, XIX საუკუნეში რომანტიზმის ეპოქაში. ვერც ჩვენმა საუკუნემ მოახერხა, რომ ამ გამოძახილისათვის ყური არ დაეგდო. ამასთან პირველწყარო იყო არა მარტო კან კოხანოვსკის შემოქმედება, არამედ მეორე პოეტის, კოხანოვსკის მოგვარისა და ნათესავის თხზულებანიც. რასაკვირველია, ტასსოს „ჯერუსალიმი“ და არიოსტოს „შშაგი როლანდის“ გენიალურ მთარგმნელ პეტრე კოხანოვსკეზე (1566-1620 წწ.) ვლაპარაკობთ.

მოვიგონოთ თარიღები: ლიუდოვიკო არიოსტო — 1474-1533 წწ., ტორკვატო ტასსო — 1544-1599 წწ. ესე იგი, ჩვენ ისევ XVI საუკუნეს მივმართავთ, და შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ლიტერატურის ეს ორი შედევრი პოლონური პოეზიის იმ პირველი შემოქმედებითი გაელვების თანატოლია, რომელმაც აგრეთვე თავისი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ლიტერატურაში. მიკეკევიჩის „გრაჟინისა“ და სლოვაცკის „ბენევსკის“ ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ არა თუ ორიგინალობამ, რომლებიც ჩვენი პოეტებისათვის ხელმისაწვდომი იყო, არამედ, რაც ყველაზე ძირითადია, მათმა თარგმანებმა, რომლებიც ხავალდებულო სასწავლო ლიტერატურას მიეკუთვნება, დიდი გავლენა მოახდინეს არა თუ დასავლეთ ნაწარმოებებზე, არამედ ამ ავტორთა მთელ შემოქმედებაზე. მათ ხომ ნორვიდისა და ვისპიანსკის მეშვეობით თანამედროვე პოეტებამდეც თავიანთი ძლიერი გენიით წინ მიჰყავთ პოლონური პოეზია.

იან კოხანოვსკი უფრო ცოტას თარგმნიდა, ვიდრე პეტრე კოხანოვსკი, მაგრამ იგი თარგმნიდა გენიალურად და ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ იტალიურ და ფრანგულ პოეზიასთან. პოლონეთში მხატვრული ლიტერატურისა და პოეზიის ცეცხლი აგიზგიზდა XVI საუკუნეში ნატეურინეს ნაპერწკლებისგან, რათა მერე აღარ ჩამქრალიყო, მიუხედავად XVII საუკუნისა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის მწუხრისა.

ჩვენ ვიცით, რომ XVI საუკუნეში ქართველი ხალხი კულტურის განვითარებისათვის სრულიად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართულ ლიტერატურას მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, რომანტიზმის პერიოდში, მიეცა შესაძლებლობა მსოფლიო ლიტერატურასთან კონტაქტები დიმყარებინა.

როდესაც საბჭოთა ეპოქაში საქართველოს ახალი აყვავების პირობები შეექმნა, იგი ისევ გახდა პოეზიის ერთ-ერთ წყაროდ, რომელიც იმდენად ეხმაურებოდა პოლონურ პოეზიას, რომ სწორედ გოცება სიმონ ჩიქოვანისა და იუზეფ ჩეხოვიჩის ზოგიერთი სტროფის მსგავსება. უდროოდ გარდაცვლილი ეს ორივე ჩვენი თანამედროვე პოეტი ერთსა და იმავე 1903 წელს დაიბადა!

თუ პოლონური ლიტერატურის ჩასახვა ამა თუ იმ ზომით დავალებული XVI საუკუნეში აპენინის ნახევარკუნძულის ლიტერატურის აყვავებისაგან, შეიძლება ეჭვიანობის საკითხი, ამ დრამდე ეტალიამ საიდან მიიღო დიდი ხელოვნების ესტაფეტა?

ანტიკურ სამყაროსთან კავშირი ადრინდელი შუა საუკუნეების პერიოდში იმდენად იყო გაწყვეტილი ან ყოველ შემთხვევაში შესუსტებული დასავლეთ ევროპაში, რომ არ შეიძლება რაღაც მემკვიდრეობაზე ლაპარაკი. კონსტანტინოპოლის დაცემა და სასწავლო ელიტის დასავლეთში გახიზნვა შეიძლება ევროპული ჰუმანიზმისა და რენესანსის ერთ-ერთ იმპულსად ჩაითვალოს, მაგრამ არა ერთადერთად და არც პირველად. კიდევ უფრო ადრე ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილენი, მათ შედგომ კი იმავე გზით გამგზავრებული ვაჭრები და თავგადასავალთა მაძიებელნი აღწევდნენ კულტურის კერებს, რომელთაც ანტიკური მემკვიდრეობა შეინახეს.

პოლონური ოქროს ხანიდან ოთხი საუკუნით უკან დავიხიოთ და ჩვენ აღმოვაჩენთ დახვეწილი ლიტერატურის საუცხოო მაგალითებს. მაგალითად, ძველი საქართველოსათვის ოქროს ხანაა XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი. და თუ ჩვენ პოლონური პოეტური კულტურის ჩირაღდანს ვანთებდით, ვსარგებლობდით რა იტალიიდან ჩვენამდე მოღწეული შირალით, ახლო აღმოსავლეთთან ამ კულტურის უფრო ადრინდელმა კონტაქტებმა კი, ეჭვს გარეშეა, გააჩაღეს ამავე კულტურაში მანამდე მბუუტავი კოცონი. რა შეიძლება იყოს პოლონელი პოეტისათვის იმაზე უფრო მიმზიდველი, რომ შეძლოს ჩაიხედოს პოლონური პოეზიის საწყისთა საწყისებში?

ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი იქნებოდა ყველა ამ საწყისს ჩაასწვდომოდა. და ჩემი გამოკვლევებისათვის ამოვირჩიე ერთი — ქართული პოეზიის შედევრი იმ ვარაუდით, რომ მასში მეპოვნა ჩვენთვის განსაკუთრებული მშვენიერებანი. ტემპერამენტისა და ეროვნულ გემოვნებათა საოცარი მსგავსება მიკარნახებდა, რომ საუკუნეთა სიღრმეში მოინახებოდა ნათესავური ნიმუში, რომელთაც მოხერხდებოდა პოლონური ხელოვნების საწყისებს შუქი მოჰფენოდა. ამ ხელოვნებამ ხომ ბევრი რამ გადმოიღო რენესანსის ეპოქის ალპებისმიერი მშვენიერი ფიქალიდან, ამ ეპოქის განთადის ამიერკავკასიის ხხივთა კი შეიძლება იგი გაამდიდროს.

და მაშინ ტელმენი „პან ტადეუშიდან“ დროთა სრბოლისაგან გაბუნდოვანებულ სარკეში მოულოდნელად დაინახავს ფაატმანის სილუეტს „ვეფხისტყაოსნიდან“. ეს კი ჩვენ დაგვარწმუნებს, რომ მშვენიერების ზოგადსაკაცობრიო დინებაში არის მოტივთა მემკვიდრეობითობა, იმისგან დამოუკიდებლად, იქნება ეს გამოხატული კოხანოვსკისა და მიკეკევიჩის თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპებით, პოეროსის და ვირგილიუსის ჰეგზამეტრით თუ რუსთაველის შაირით.

XII საუკუნის მიწურულში, ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის რენესანსის ხანაში, რომელიც რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებდა ევროპულ რენესანსს, ძველი საქართველო თავისი ძლიერების ძწვერვალზე იდგა. ჩვენ ვიცით, რომ დავითის, გიორგი III და მისი ქალიშვილის თამარის მეფობა საქართველოსათვის პოლონური ოქროს ხანის ეკვივალენტი იყო. უზომოდ დასანანია, რომ ცეცხლისა და სისხლისღვრის ხანას ვერ გადაურჩა ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და რომ რუსთაველის უდიდესი ეპოპეის ტექსტი, რომელიც 7.000-მდე თექვსმეტმარცვლიან ტაეპს მოიცავს, დღემდე გულმოდგინე ძიების საგნად რჩება. გადარჩენილი გვიანდელი ხელნაწერები, მერე დაბეჭდილი გამოცემანიც ხშირად განსხვავდებიან დეტალებით. როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში გადამწერებს უყვართ „გალამაზება“ და არა მხოლოდ გადამწერებს, არამედ ხშირად... მთარგმნელებსაც.

ამ გალამაზებისა, როგორც ცეცხლის, ისე მეშინოდა, როდესაც ხელი მოვკიდე იმ ამოცანის გადაწყვეტას, რაც რამდენიმე წლის წინათ მეჩისლავ კოტლიარჩიკმა, კრაკოვის თეატრის დირექტორმა, მაფიქრებინა. მისთვის უნდა წარმედგინა რაღაც ნახევრფაბრიკატის მსგავსი დრამატურგიული დამუშავებისათვის. მას სურდა ფრაგმენტებისაგან შეექმნა დამთავრებული დრამატული ნაწარმოები, სწორედ ფრაგმენტებისაგან, რადგან მთელი ეპოპეის დადგმას, სულ ცოტა, 50 საათი მაინც დასჭირდებოდა. მაგრამ ნაწარმოების არაჩვეულებრივმა ღირსებებმა სურვილი აღმძრა სრული თარგმანი და არა მხოლოდ შემოკლებული პოეტური გადმოცემა გამეკეთებინა.

როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურა XII საუკუნეში მაღალ დონეზე იდგა. „ვეფხისტყაოსანს“ გენიალური ავტორი უდიდესი ტრადიციის პირობებში ქმნიდა ნაწარმოებს იმ დროისთვის ახალი სულისკვეთებით. უვიცობასა და მონობას უპირისპირებდა ჰუმანიზმის ისეთ იდეალებს, როგორიც არის პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ყველისის უფლების შეზღუდვა, ქალისთვის უფლების მინიჭება, მიწიერი სიყვარულისთვის ხოტბის შესხმა, ესე იგი, იდეალებს, რომლებმაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპა აამოძრავეს.

„ვეფხისტყაოსანი“ თავისი დროისათვის, ასე ვთქვათ, პროგრესულ პოლიტიკურ ნაწარმოებად გვევლინება. მის მოსპობას ცდილობდა არა მარტო ისტორიის ჩარხის უაღმა შეტრიალება, არამედ მტრის ხელიც. მაგრამ რუსთაველის ოთხ თუგინდ პოემაში აღწერილი ამბავი: არაბეთისა და ინდოეთის მეფენი, რომელთაც ვაჟიშვილი არა ჰყავთ, თავიანთ ქალიშვილებს გაამეფებენ. ამ ეპიზოდს ხომ ჰქონდა თავისი ისტორიული ეკვივალენტი — გიორგი III-ის სიკვდილის შემდეგ მეფედ თამარს აკურთხებენ.

